

899.962-1

1-182

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებები:

თეა გენოს ასული კალანდია

XX საუკუნის ქართული სალიტერატურო კრიტიკა
(900-იანი წლები)

10.01.01 – ქართული ლიტერატურა

აკტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი – 1998

32
11 03 1998

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში

საძეგნიერო ხელმძღვანელი:

დავით თევზაძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ექსპერტი: *გიორგი არველიძე* - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები:

1. *ნოსტომ ჩხეიძე* - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
2. *ბედა აფურიცაძე* - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

წამყვანი ორგანიზაცია: *ცენტრალური საბიბლიოთეკო-პედაგოგიური ინსტიტუტი*

დისერტაციის დაცვა შესდგება 1998 წლის "8" *აპრილ 14.00* საათზე შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს (P10 01 C №3) სხდომაზე. ასამართი: თბილისი - 380008, კოსტავას ქ. №15


დისერტაციის გაცნობა შეიძლება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში

ავტორეკორექტი დაიცენა 1998 წლის "6" *„Subjel“*

სადისერტაციო საბჭოს

სწავლული დეიანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

ქ. მარჯალი



ნაშრომის ზოგადი და' სიახება

თემის აქტუალობა. 900-იანი წლების სალიტერატურო კრიტიკის ისტორია ისევე როგორც ამ პერიოდის საზოგადოებრივ-კულტურული ვითარება, მრავალფეროვნებითა და შეხედულებათა სიახლით გამოირჩევა. ეპოქა, რომელიც ილია ჭავჭავაძის მოწამებრივმა აღსასრულმა შემოსაზღვრა, საბჭოთა პერიოდში თითქმის შეუსწავლელი იყო და კრძალვად ილია' მკვლელის თაობაზე 900-იანი წლების პრე' აში გამოქვეყნებული წერილების ობიექტურ ანალიზს. ამჟამად დადგა დრო, როცა შესაძლებელი გაეანალიზოთ ჩვენი საუკუნის დასაწყისის (900-იანი წლები) ქართულ მწერლობაში მიმდინარე პროცესები (შ. არაგვისპირელის, ე. გაბაშვილის, ე. ბარნოვის, ა. ერისთავ-ზოშტარის, ლალიონის, დ. კლდიაშვილის, ირ. ევდოშვილის, ს. შანშიაშვილის, ი. გრიშაშვილის და სხვ) ამ პერიოდის სალიტერატურო კრიტიკა და დიდი ილიას მკვლევლობასთან დაკავშირებული მასალები.

სადისერტაციო თემის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტიც, რომ 900-იანი წლების ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორია დღემდე არ არის შესწავლილი თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ გამოკვლევებს (გ. აბაშიძე, "კიტა აბაშიძის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა" ორ ნაკვეთად (1964, 1982) და დ. გამეზარდაშვილის კიტა აბაშიძის "ცხოვრება და ხელოვნება" და "კიტა აბაშიძე. ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი და კრიტიკოსი", (იხ. "ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიკოსი" ტ. 5, 1984).

ნაშრომზე მუშაობისას გათვალისწინებულ იქნა თანამედროვე ლიტერატურის-მცოდნეების შეხედულებები, რომელთა მეოხებით გადაისინჯა კანონიზებული დოქტრინები, რამაც შესაძლებლობა მოგვცა თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობის პოზიციებიდან ახალი საზომებით შეგვეფასებინა 900-იანი წლების ლიტერატურულ-კრიტიკული აზრი მხატვრული ლიტერატურა და ავტორთა ესთეტიკურ-ლიტერატურული კონცეფციები.

ამ გზით აშკარად გამოჟღავნდა 900-იანი წლების ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიისათვის ნიშანდობლივი ახალი შრეები და ქვეტექსტები.

ნაშრომის მიზანი და ამოცანები. წარმოდგენილ ნაშრომში მიზნად ვისახავთ, მეცნიერულად გავაშუქოთ 900-იანი წლების ქართული სალიტერატურო კრიტიკის რომელიც ეყრდნობა 60-იანელთა ესთეტიკურ-ლიტერატურულ და 90-იანი წლებში

16091